საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/877
19/02/2025

877-01-2-202502191106

შპს „ადას“ (ს/ნ 405027830)
მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა N4
ელ-ფოსტა: order@adashop.ge
ტელ: 599 31 79 31
577 55 36 76

როგორც უკვე გეცნობათ, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 04 ოქტომბრის №04/964 ბრძანებით მიმდინარეობს საქმის შესწავლა შპს „ადას“ (ს/ნ 405027830) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად გაცნობებთ, რომ სააგენტომ 2024 წლის 04 ოქტომბრის №04/964 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო სვეტლანა ბრუსკოვას (პასპორტის ნომერი: 753190952) 2025 წლის 13 თებერვლის N01/1009 განცხადება და, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ მოვაჭრის - პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართის სახით გიგზავნით მომხმარებლის განცხადებას.

დანართი: 4 (ოთხი) გვერდი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი